22/10/2020

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გრემის ტაძრის გუმბათსა და სამრეკლოზე გადაუდებელ საკონსერვაციო ჩარევებს აწარმოებს

გრემის მთავარანგელოზის ტაძრის გუმბათსა და სამრეკლოზე 2010-2011 წლებში განხორციელებული არასრულფასოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გადაუდებელ საკონსერვაციო ჩარევებს აწარმოებს. მათივე ცნობით, მნიშვნელოვანი სტრუქტურული დაზიანებების შედეგად, რაც გუმბათისა და სამრეკლოს კონუსის არქიტექტურულ ფრაგმენტებზეა გამოვლენილი, ტაძრის ინტერიერი წყლის ინფილტრაციის სერიოზული რისკის ქვეშ მოექცა.

ამჟამად სააგენტოს დაკვეთით, კავშირი „კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის ცენტრის“ სარესტავრაციო ჯგუფი გრემის მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის გუმბათზე და სამრეკლოზე დროებითი ხარაჩოს მოწყობა ასრულებს, რომლის მეშვეობით, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი არქიტექტურული ფრაგმენტები დროებითი გადახურვით დაიხურება.

როგორც კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, მიმდინარე კვირის 23 ოქტომბერს გრემის სამონასტრო კომპლექსს სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების სექციის წევრი სპეციალისტები მოინახულებენ, რომლებიც ტაძრისა და სამრეკლოს გუმბათებზე გამოვლენილი დაზიანებების გადაუდებელ საკონსერვაციო მეთოდოლოგიას განსაზღვრავენ და საბჭოს განსახილველად წარუდგენენ. საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე კი დაჩქარებულ ვადებში დაიხვეწება სარესტავრაციო პროექტი, რომლის განხორციელებისთვის ეროვნულ სააგენტოს 150 ათასი ლარი უკვე გამოყოფილი აქვს. საკონსერვაციო პროცესი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. პროექტის ფარგლებში გამოიცვლება არსებული კრამიტიც, რომელიც ტრადიციული წესით – თიხის დაწნეხვის, დაფერვისა და მოჭიქვის მეთოდით უკვე დამზადებულია და შრობის პროცესშია.

გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევებისა და წყლის ინფილტრაციის რისკის გამორიცხვის შემდეგ, ეროვნული სააგენტოს დაკვეთითვე, მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფი გრემის მთავარანგელოზის ტაძრის მხატვრობის საკონსერვაციო პროექტის კვლევით-მოსამზადებელ სამუშაოებს დაიწყებს, რომლის საფუძველზე ეროვნული კატეგორიის ძეგლის კედლის მხატვრობის კონსერვაცია 2021 წლიდან წარიმართება.

— ipn.ge